საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/127 "20" ივნისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ. კეკენაძის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

2019 წლის მაისში დასრულებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგად ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ვერ შეივსო მოსამართლის 3 ვაკანტური თანამდებობა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის სხდომაზე განხილულ იქნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის მივლინების საკითხი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვინაიდან ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მივლინებისათვის ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სასამართლოს წარმოადგენს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნმა წარმოადგინა აღნიშნული სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძის თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს დატვირთულობა თვის განმავლობაში შეადგენს 13 საქმეს, რაც საერთო სასამართლოებში შემოსულ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით ძალიან დაბალი მაჩვენებელია. აღნიშნული მივლინება ხელს შეუწყობს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა განტვირთვას, ამასთან, არ გამოწვევს ახალ პრობლემას გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოში, ვინაიდან დავით კეკენაძე, მისივე თანხმობით იმავდროულად უფლებამოსილების განხორციელებას გააგრძელებს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში.

მივლინება არ იწვევს მოსამართლის სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო განთავსებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძე მივლინებულ იქნეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2019 წლის 24 ივნისიდან 2020 წლის 23 ივნისამდე.

2. დავით კეკენაძემ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი